

კარლოვის უნივერსიტეტი პრაღაში UNIVERZITA KARLOVA V PRAZE

ყველაზე პრესტიჟული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ჩეხეთში და ცენტრალური ევროპის უძველესი უნივერსიტეტი. კარლოვის უნივერსიტეტი თანამშრომლობს მსოფლიოს ბევრს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ოქსფორდის, სორბონას, ბოლონიის, ქენევისა და სხვა უნივერსიტეტებთან ერთად შედის ევროპის მთავარი უნივერსიტეტების ასოციაციაში.

აღნიშნული უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე ლექციებს კითხულობენ მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების პედაგოგები. საუნივერსიტეტო გერიგორია მოიცავს: რემიდეციებსა და სასაღილოებს, უნივერსიტეტის 19 ცენტრალურ ბიბლიოთეკას და ფაკულტეტების 300-მდე განყოფილებას.

ჩეხურ ენაზე სწავლება უცხოელი სტუდენტებისთვის უფასოა!

ფაკულტეტები:

- ✔ სამი თეოლოგიის,
- ✔ ექვსი სამედიცინო,
- ✔ ფიზიკო-მათემატიკური,
- ✔ იურიდიული,
- ✔ ფილოსოფიის,
- ✔ პედაგოგიური,
- ✔ სოციალური მეცნიერებების,
- ✔ საბუნებისმეტყველო,
- ✔ ფიზიკური კულტურისა და სპორტის,
- ✔ ჰუმანიტარული მეცნიერებების.

პრადის ეკონომიკური უნივერსიტეტი

VYSOKÁ ŠKOLA EKONOMICKÁ V PRAZE

დღესდღეობით უდიდესი და საუკეთესო ეკონომიკური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ჩეხეთში. აღიარებულია ასევე ყველაზე პროგრესულ და მდიდარ უნივერსიტეტად, რადგანაც სარგებლობს უმსხვილესი კომპანია-პარტნიორების მხარდაჭერით: Česká spořitelna (ჩეხეთის შემნახველი ბანკი), Komerční banka (კომერციული ბანკი), Skoda auto, PricewaterhouseCoopers, HVB Bank, Deloitte, L'ORÉAL, Konrad Adenauer Stiftung და ა.შ. ამჟამად უნივერსიტეტში სწავლობს 20 000-ზე მეტი სტუდენტი, მათგან 1 600 — უცხოელი სტუდენტი.

უნივერსიტეტის პედაგოგებს წარმოადგენენ ეკონომიკის სფეროს წამყვანი სპეციალისტები, რომელთა 61%-ს შეადგენენ მეცნიერების კანდიდატები. პედაგოგთა უმეტესობას შეადგენენ სახელმწიფო ორგანოებისა და კერძო კომპანიების თანამშრომლები.

ფაკულტეტები:

- ☑ საფინანსო-საბუღალტრო ფაკულტეტი
- ☑ საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი
- ☑ ბიზნესის ეკონომიკის ფაკულტეტი
- ☑ ინფორმატიკისა და სტატისტიკის ფაკულტეტი
- ☑ ეროვნული ეკონომიკის ფაკულტეტი
- ☑ მენეჯმენტის ფაკულტეტი

ჩეხეთის აგრარული უნივერსიტეტი

ČESKÁ ZEMĚDĚLSKÁ UNIVERZITA V PRAZE

ჩეხეთის წამყვანი უნივერსიტეტი, რომელიც სპეციალიზირებულია სოფლის მეურნეობისა და გარემოს სფეროში კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაში. ამჟამად სტუდენტების მომზადება მიმდინარეობს განათლების სამინისტროს მიერ აკრედიტირებული 170-ზე მეტი პროგრამის მიხედვით. აღნიშნული უნივერსიტეტი არის სიდიდით მე-3 პრადაში და ყოველწლიურად იღებს 18 000-ზე მეტ სტუდენტს, რომელთა 10%-ს უცხოელი სტუდენტები წარმოადგენენ. უნივერსიტეტის სტატისტიკის მიხედვით ახალგაზრდა სპეციალისტების დაახლოებით 96% სწავლის დასრულებისთანავე იწყებს მუშაობას. 2007 წლიდან ჩეხეთის აგრარული უნივერსიტეტი არის ორგანიზაცია Euroleague for Life Sciences-ის წევრი, რომელშიც გაერთიანებულია ევროპის საუკეთესო საბუნებისმეტყველო უნივერსიტეტები.

ფაკულტეტები:

- ✔ აგრობიოლოგიისა და საკვები რესურსების ფაკულტეტი
- ✔ ეკონომიკური ფაკულტეტი
- ✔ სატყეო საქმისა და ხის გადამამუშავების ფაკულტეტი
- ✔ გარემოს ფაკულტეტი
- ✔ ტექნიკური ფაკულტეტი
- ✔ გროპიკებისა და სუბტროპიკების ინსტიტუტი
- ✔ განათლებისა და კონსალტინგის ინსტიტუტი

ჩეხეთის ტექნიკური უნივერსიტეტი

ČESKÉ VYSOKÉ UČENÍ TECHNICKÉ V PRAZE

ერთ-ერთი ლიდერი იმ უნივერსიტეტთაგან, რომლებიც ამზადებენ მაღალკვალიფიციურ

სპეციალისტებს ტექნიკისა და მეცნიერების ისეთ სწრაფად განვითარებად სფეროებში, როგორებიცაა ტელეკომუნიკაცია, საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, ავტომატიკა, კიბერნეტიკა, რადიოტექნიკა და ელექტრონიკა, ქიმია და ბიოტექნოლოგიები. ამჟამად უნივერსიტეტში სწავლობს 23 000 -ზე მეტი სტუდენტი.

ჩეხეთის ტექნიკური უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს ბევრ ისეთ კომპანიასთან, როგორიცაა Toyota, Skanska, Bosch, Siemens, Honeywell, GE, Rockwell, ABB Group, McKinsey, DaimlerChrysler, Škoda Auto, Ericsson, Vodafone და მრავალი სხვა.

2014 წელს ჩეხეთის ტექნიკური უნივერსიტეტი შევიდა QS World University Rankings რეიტინგში, რომელიც ითვლის მსოფლიოს 3 000-ზე მეტ უნივერსიტეტს. აღნიშნული უნივერსიტეტი იკავებს 411-სა და 420-ს შორის პოზიციას.

ფაკულტეტები:

- საინფორმაციო ტექნოლოგიების ფაკულტეტი
- მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი
- ელექტროტექნიკური ფაკულტეტი
- ბირთვული ფიზიკის ფაკულტეტი
- არქიტექტურული ფაკულტეტი
- საგრანსპორტო ფაკულტეტი
- ბიოსამედიცინო ინჟინერიის ფაკულტეტი
- სამშენებლო ფაკულტეტი

ქიმიური ტექნოლოგიის უმაღლესი სკოლა

VYSOKÁ ŠKOLA CHEMICKO-TECHNOLOGICKÁ V PRAZE

ჩეხეთის უმსხვილესი საგანმანათლებლო დაწესებულება ქიმიური მრეწველობის სფეროში. დაფუძნების დღიდან წარმოადგენს ცენტრალური ევროპის ერთ-ერთ უმთავრეს კვლევით ცენტრს, რომელსაც აქვს 200-წლიანი გამოცდილება ქიმიის სფეროში სპეციალისტების მომზადებაში. ქიმიური ტექნოლოგიის უნივერსიტეტში მიღებული განათლება ნიშნავს მსოფლიო მოთხოვნების შესაბამისი ფუნდამენტალური ცოდნის შექმნასა და სისტემაში „მეცნიერება-მრეწველობა- გარემო“ დასახული ამოცანების კომპლექსურად ამოხსნის უნარს.

ქიმიური ტექნოლოგიის უნივერსიტეტში სწავლა სამეცნიერო-კვლევით სფეროში პრესტიჟული სამსახურის პოვნის შესაძლებლობას იძლევა როგორც ჩეხეთის რესპუბლიკაში, ასევე მის საზღვრებს გარეთაც.

უნივერსიტეტის სამეცნიერო თემატიკა მოიცავს ქიმიის, ქიმიური ტექნოლოგიის, ნანო და მაკრო ბიოტექნოლოგიის პრაქტიკულად ყველა განშტოებას და შეესაბამება მსოფლიოში მეცნიერების განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს.

ფაკულტეტები:

- ☑ ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტი
- ☑ გარემოს დაცვის ფაკულტეტი
- ☑ ბიოქიმიისა და საკვები მრეწველობის ფაკულტეტი
- ☑ ქიმიური ინჟინერიის ფაკულტეტი

მასარიკოვის უნივერსიტეტი ბრნოში

MASARYKOVA UNIVERZITA

რიგით მეორე უმსხვილესი უნივერსიტეტი ჩეხეთში. მის შემადგენლობაში შედის 9 ფაკულტეტი, 200-ზე მეტი კათედრა და 2 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი,

პოლიტოლოგიის საერთაშორისო ინსტიტუტი და ცენტრალური ევროპის ტექნოლოგიური ინსტიტუტი. პრაქტიკულად ყოველ წელს მასარიკოვის უნივერსიტეტი ლიდერობს შემოსული განაცხადების რაოდენობით და ასევე წარმოადგენს ყველაზე პოპულარულ უნივერსიტეტს უცხოელ სტუდენტთათვის, რომლებიც სასწავლებელში გაცვლითი პროგრამებით ჩამოდიან.

მასარიკოვის უნივერსიტეტში ასწავლიან ევროპისა და და ამერიკის უმსხვილესი სასწავლებლების პროფესორები, ხშირად ლექციებს კითხულობენ ჩეხეთის მსხვილი კომპანიის ხელმძღვანელები და ასევე მრავალი საერთაშორისო კორპორაციის გლობალური მენეჯერები.

ფაკულტეტები:

- ✔ იურიდიული ფაკულტეტი
- ✔ სამედიცინო ფაკულტეტი
- ✔ საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი
- ✔ სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი
- ✔ ფილოსოფიის ფაკულტეტი
- ✔ პედაგოგიური ფაკულტეტი
- ✔ ეკონომიკისა და მართვის ფაკულტეტი
- ✔ ინფორმატიკის ფაკულტეტი
- ✔ ფიზიკულტურისა და სპორტის ფაკულტეტი

ბრნოს ტექნიკური უნივერსიტეტი

VYSOKÉ UČENÍ TECHNICKÉ V BRNĚ

ითვლება ქალაქის უძველეს უნივერსიტეტად და სიდიდით მეორე უმაღლეს სასწავლებლად ჩეხეთის რესპუბლიკაში. იგი შედგება 8 ფაკულტეტისა და 3 სასწავლებელი ინსტიტუტისგან. ისწავლება კლასიკური ტექნიკური და საბუნებისმეტყველო სპეციალობების ფართო სპექტრი, ასევე ინჟინერიის, ეკონომიკისა და

ჯანდაცვის დისციპლინები. დღესდღეობით ბრნოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლობს 23 000-ზე მეტი სტუდენტი, რომელთა 18%-ს უცხოელი სტუდენტები წარმოადგენენ.

2017 წელს ბრნოს ტექნიკური უნივერსიტეტი შევიდა საერთაშორისო რეიტინგით მსოფლიოს 600 საუკეთესო უნივერსიტეტთა რიცხვში, რასაც ყოველ შემოდგომაზე ასაჯაროებს გავლენიანი ბრიტანული საკონსულტაციო კომპანია Quacquarelli Symonds. რეიტინგი უმაღლესი სასწავლებლების შეფასებას შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით ახდენს: სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის აქტივობა და ხარისხი, დამსაქმებლის აზრი და კარიერული პოტენციალი, სწავლება და ინტერნაციონალიზაცია.

ფაკულტეტები:

- ✔ არქიტექტურული ფაკულტეტი
- ✔ ქიმიური ფაკულტეტი
- ✔ მეწარმეობის ფაკულტეტი
- ✔ სამშენებლო ფაკულტეტი
- ✔ ელექტროტექნიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი
- ✔ საინფორმაციო ტექნოლოგიების ფაკულტეტი
- ✔ მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი
- ✔ ხელოვნების ფაკულტეტი
- ✔ გემთმშენებლობის ინჟინერიის ფაკულტეტი

კერძო უნივერსიტეტები

ჩეხეთის რესპუბლიკა მთლიანობაში ითვლის განათლების სამინისტროს მიერ აკრედიტირებულ დაახლოებით 42 კერძო უნივერსიტეტს. მათი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებისგან არის მათი შედარებით მცირეწლოვანი არსებობა და ფასიანი სწავლება. მათს უპირატესობათა რიცხვს შეგვიძლია მივაკუთვნოთ უნიკალური საგანმანათლებლო პროგრამების არსებობა. ქვემოთ ჩამოთვლილია რამდენიმე კერძო უნივერსიტეტი, რომელთაც თავისი არსებობის მანძილზე მიაღწიეს სწავლების გარკვეულ დონეს.

სასტუმროს მენეჯმენტის ინსტიტუტი პრაღაში
Vysoká škola hotelová v Praze

კომენსკის სახელობის უნივერსიტეტი პრაღაში
Univerzita Jana Amose Komenského Praha

ფინანსებისა და მართვის უმაღლესი სკოლა
Vysoká škola finanční a správní

უმაღლესი სავაჭრო სკოლა პრაღაში
Vysoká škola obchodní v Praze

უმაღლესი სკოლა „სკოდა ავტო“
Škoda Auto Vysoká škola Art & Design Institut